

ააიპ კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია
და
სს საფეხბურთო კლუბი სამტრედია

სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი).....	5
სპეციალური დანიშნულების კომბინირებული საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი)	6
სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები.....	8
ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯები.....	15

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ააიპ „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს და სს „საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს მენეჯმენტს
რუსთაველის ქ # 128
ქ. სამტრედია, საქართველო

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ ააიპ „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს და სს „საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს (შემდგომში „კლუბი“) თანდართული სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს სპეციალური დანიშნულების კომბინირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების კომბინირებულ საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას, სპეციალური დანიშნულების კომბინირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და კომბინირებულ ახალგაზრდული ფეხბურთის ხარჯებისა ანგარიშგებას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, აგრეთვე ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებზე.

ჩვენი აზრით, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული, თანდართული სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯის მუხლის ქვეშ აღრიცხულ თანხებზე 66, 233 ლარის ოდენობით ვერ მოვიპოვეთ დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა აღმნიშვნელი აზრები

ყურადღებას ვამახვილებთ სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ზე, სადაც აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი. ამის გამო, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არ იყოს შესაფერისი სხვა მიზნებისათვის. ჩვენი ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ კლუბისთვის, კლუბის დამფუძნებლისთვის, ფეხბურთის განვითარების ფონდისთვის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის და არ შეიძლება გავრცელებული ან გამოყენებულ იქნას სხვა მხარის მიერ, გარდა, კლუბის, კლუბის დამფუძნებლის, ფეხბურთის განვითარების ფონდის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან მიმართებაში.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების კომბინირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების კომბინირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კლუბის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კლუბის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კლუბის სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კლუბის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კლუბის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კლუბი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სწორად წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა, ვადების და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

10 აპრილი, 2025

თბილისი, საქართველო



სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან



კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
საბალანსო უწყისი



ლიცენზიის მაძიებელი:

სს "საფეხბურთო კლუბი სამტრედია"

ანგარიშგების წელი
31.12.T-1

ძველი წელი
31.12.T-2

საბალანსო უწყისი	2024	2023
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	72,087.00	36.00
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	-	-
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება	15,641.00	16,973.00
სხვა დებიტორული დავალიანება	372,161.00	258,851.00
საგადასახადო აქტივები	-	-
მატერიალური მარაგები	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-
მთლიანი მიმდინარე აქტივები	459,889.00	275,860.00
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	160,339.00	177,774.00
არამატერიალური აქტივები - მოთამაშეები	-	-
არამატერიალური აქტივები - სხვა	721.00	810.00
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	-	-
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება	-	-
საგადასახადო აქტივები	-	-
ინვესტიციები	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები	161,060.00	178,584.00
მთლიანი აქტივები	620,949.00	454,444.00
მიმდინარე ვალდებულებები		
ბანკის ოვერდრაფტები	-	-
ბანკის და სხვა სესხები	506,060.00	170,625.00
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	-	-
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება	-	-
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	15,679.00	-
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება	-	-
დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი	-	-
მოკლევადიანი ანარიცხები	-	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	390,665.00	474,729.00
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	912,404.00	645,354.00
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ბანკის და სხვა სესხები	-	-
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	-	-
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება/სესხები	-	-
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები	-	-
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება	-	-
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	-	-
გრძელვადიანი ანარიცხები	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	912,404.00	645,354.00
მთლიანი აქტივები / (ვალდებულებები)	(291,455.00)	(190,910.00)
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო/საწესდებო კაპიტალი	2,100,000.00	1,500,000.00
გაუნაწილებელი მოგება	-	-
სხვა რეზერვები	(2,391,455.00)	(1,690,910.00)



კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
საბალანსო უწყისი



ლიცენზიის მაძიებელი:

სს "საფეხბურთო კლუბი სამტრედია"

ანგარიშგების წელი

31.12.T-1

ძველი წელი

31.12.T-2

საბალანსო უწყისი	2024	2023
მთლიანი საკუთარი კაპიტალი	(291,455.00)	(190,910.00)
მთლიანი საკუთარი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები	620,949.00	454,444.00
კონტროლი (მთლიანი აქტივები = მთლიანი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები)	TRUE	TRUE
მთლიანი კაპიტალის შესაბამისობის შემოწმება		
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საწყისი ბალანსი	(190,910.00)	(221,000.00)
პერიოდის მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდგომ	(700,545.00)	(844,910.00)
კაპიტალის გაზრდა/კონტრიბუცია საკუთარ კაპიტალში	600,000.00	875,000.00
ცვლილება გადაფასების რეზერვში	-	-
სხვა მოძრაობები საკუთარ კაპიტალში/რეზერვებში პერიოდის განმავლობაში	-	-
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საბოლოო ბალანსი	(291,455.00)	(190,910.00)
შემოწმება	TRUE	TRUE
მოთამაშეთა რეგისტრაციის დანახარჯები		
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის დასაწყისში	-	-
პერიოდის განმავლობაში გაწეული დანახარჯი	-	-
დაგროვილი დანახარჯის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად	-	-
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის ბოლოს	-	-
მოთამაშეთა რეგისტრაციის ამორტიზაცია		
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში	-	-
პერიოდის ამორტიზაციის დარიცხვა	-	-
დაგროვილი ამორტიზაციის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად	-	-
გაუფასურების ანარიცხები პერიოდში	-	-
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის ბოლოს	-	-
ნეტო საბალანსო ღირებულება		
პერიოდის დასაწყისში	-	-
პერიოდის ბოლოს	-	-
შემოწმება	TRUE	TRUE

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და
სანქცონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის:

10.04.2025

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

დირექტორი: მიხეილ ხუციშვილი

თარიღი: 10.04.2025



სპეციალური დანიშნულების კომბინირებული საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი)

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან



კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
მოგება-ზარალის უწყისი



ლიცენზიის მაძიებელი:

სს "საფეხბურთო კლუბი სამტრედია"

ანგარიშგების წელი

31.12.T-1

ბველი წელი

31.12.T-2

მოგება-ზარალის უწყისი	2024	2023
ამონაგები ბილეთებიდან - ეროვნული შეჯიბრებები	-	-
ამონაგები ბილეთებიდან - უეფას შეჯიბრებები	-	-
ამონაგები ბილეთებიდან - აბონემენტები	-	-
ამონაგები ბილეთებიდან - საწევროები	-	-
ამონაგები ბილეთებიდან - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი	-	-
სულ ამონაგები ბილეთებიდან	-	-
სპონსორობა და რეკლამა - დამამზადებელი/მწარმოებელი სპონსორი	-	-
სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი	-	-
სპონსორობა და რეკლამა - სტადიონის სპონსორი	-	-
სპონსორობა და რეკლამა - რეკლამები მოედნის პერიმეტრზე და დაფებზე	-	-
სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი	259,600.00	-
სულ სპონსორობა და რეკლამა	259,600.00	-
ტელეტრანსლაციის უფლებები - ეროვნული შეჯიბრებები	-	-
ტელეტრანსლაციის უფლებები - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი	-	-
სულ ტრანსლაციის უფლებები	-	-
კომერციული - ეროვნული შეჯიბრებები	-	-
კომერციული - საქონლის გაყიდვა	-	-
კომერციული - ინფრასტრუქტურის გამოყენება არასამატჩო დღეებში	-	-
კომერციული - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი	-	-
სულ კომერციული	-	-
უეფას საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები	218,330.00	258,851.00
უეფას საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდარობის გადასახადი	-	-
უეფას სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	-	-
სულ უეფას სოლიდარობის და საპრიზო თანხა	218,330.00	258,851.00
სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან	15,000.00	10,350.00
სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან	1,345,166.00	1,424,000.00
შემოწირულობები არადაკავშირებული მხარეებისგან	-	-
შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისგან	40,000.00	250,000.00
შემოსავალი არასაფეხბურთო საქმიანობებიდან	-	-
განსაკუთრებული (გამონაკლისი) შემოსავალი	-	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არა არის გამოყოფილი	1,500.00	400.00
სულ სხვა შემოსავალი	1,401,666.00	1,684,750.00
სულ შემოსავალი	1,879,596.00	1,943,601.00
რეალიზებული პროდუქციის/მასალების ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი	-	-
სულ ხარჯები რეალიზებულ პროდუქციაზე/მასალებზე	-	-
ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება	(497,746.00)	(723,306.00)
ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები	(156,579.00)	(228,885.00)
ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი	(445,614.00)	(610,002.00)
სულ ფეხბურთელების მომსახურების ხარჯები	(1,099,939.00)	(1,562,193.00)
სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება	(840,461.00)	(758,242.00)
სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები	(244,615.00)	(208,903.00)
სხვა თანამშრომლების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი	-	-
სულ სხვა თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	(1,085,076.00)	(967,145.00)
თანამშრომლების მომსახურების ხარჯები, რომლებიც ცალკე არა არის გამოყოფილი	-	-
სულ თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	(2,185,015.00)	(2,529,338.00)



კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
მოგება-ზარალის უწყისი



ლიცენზიის მადიებელი:

სს "საფეხბურთო კლუბი სამტრედია"

ანგარიშგების წელი

31.12.T-1

ძველი წელი

31.12.T-2

მოგება-ზარალის უწყისი		2024	2023
ძირითადი საშუალებების ცვეთა		(17,525.00)	(17,525.00)
სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა)		-	-
ძირითადი საშუალებების და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურება		-	-
სულ ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციებისა)		(17,525.00)	(17,525.00)
მატჩის დღის ხარჯები		(17,195.00)	(15,840.00)
სპონსორობისა და რეკლამირების ხარჯები		-	-
კომერციული აქტივობების ხარჯები		-	-
უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები		(66,233.00)	(29,125.00)
არასაფეხბურთო საქმიანობების ხარჯები		-	-
განსაკუთრებული (გამონაკლისი) ხარჯები		-	-
სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი		(279,719.00)	(213,319.00)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი		(363,147.00)	(258,284.00)
სულ საოპერაციო ხარჯი (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)		(2,565,687.00)	(2,805,147.00)
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		-	-
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაუფასურება (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		-	-
მოგება გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		-	-
ზარალი გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		-	-
წმინდა შედეგი ფეხბურთელების გაყიდვებიდან		-	-
კაპიტალიზაციისა და ამორტიზაციის შეთოდის გამოყენებით		-	-
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/გასვლიდან		-	-
მოგება/(ზარალი) სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან		-	-
სულ მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან		-	-
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		(9,000.00)	(7,675.00)
წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)		(9,000.00)	(7,675.00)
სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო)		2,605.00	31,245.00
სხვა ხარჯი (არასაოპერაციო)		(8,059.00)	(6,934.00)
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)		(5,454.00)	24,311.00
საგადასახადო შემოსავალი/(ხარჯი)		-	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ		(700,545.00)	(844,910.00)
დივიდენდები		-	-
მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდეგ		(700,545.00)	(844,910.00)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და

სანქცინირებულია გამოსაცემად

[თარიღი]-თვის:

10.04.2025

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

დირექტორი: მისხილ ხუციშვილი

თარიღი:

10.04.2025



სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან



კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი



ლიცენზიის მატებული:

სს "საფეხბურთო კლუბი სამტრედია"

ანგარიშგების წელი

31.12.T-1

მგელი წელი

31.12.T-2

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	2024	2023
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	(854,384.00)	(890,493.77)

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ფეხბურთელების რეგისტრაციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	-
მოთამაშეთა რეგისტრაციების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები	-	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	-
ძირითადი საშუალებების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები	-	-
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი	-	-
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე (გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე	-	-
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - საფინანსო დაწესებულებები (გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - საფინანსო დაწესებულებები	326,435.00	-
სააქციო/საწესდებო კაპიტალის გაზრდით მიღებული ფულადი სახსრები (გადახდილი) ფულადი სახსრები მეწილეებისთვის/აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდიდან	600,000.00	875,000.00
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	-	-
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან	926,435.00	875,000.00

სხვა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა)

წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საანგარიშგებო პერიოდში	72,051.00	(15,493.77)
--	-----------	-------------

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების რეკონსილაცია

საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ბალანსი	36.00	17,210.00
წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	72,051.00	(15,493.77)
საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ბალანსი	72,087.00	1,716.23
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გამოკლებული ბანკის ოვერდრაფტები (საბალანსო უწყისიდან)	72,087.00	36.00

* ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქცონირებულია

გამოსაცემად

[თარიღი]-თვის:

10.04.2025

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

დირექტორი: მიხეილ ზუციშვილი

თარიღი: 10.04.2025



სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

შენიშვნა 1: კლუბის შესახებ

წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ა(ა)იპ „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს და სს „საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს ფინანსურ ინფორმაციას (ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „კლუბები“).

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“ დაფუძნდა 2009 წლის 22 ივნისს, რომლის მართვის უმაღლესი ორგანოა წევრთა საერთო კრება. კლუბის იურიდიული მისამართია: ქ. სამტრედია, რუსთაველის ქ. #128. კლუბის მმართველი დირექტორია მიხეილ ხუციშვილი.

ა(ა)იპ „კავშირი საფეხბურთო კლუბ სამტრედიას“ ძირითადი მიზანი იყო მონაწილეობის მიღება როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე, ფეხბურთის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა. კლუბი ძირითადად დაფინანსებას ღებულობს საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წწ) სახელმწიფო პროგრამიდან, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“-ს მეშვეობით.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირმა „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-მ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის 2015-2016 წლების სეზონში მოიპოვა მე-2 საპრიზო ადგილი და შესაბამისად UEFA-ს ევროპის ლიგის საგზური. კლუბმა მიიღო პრემიალური თანხა.

ა(ა)იპ „კავშირი საფეხბურთო კლუბ სამტრედიას“ ძირითადი მიზანია მონაწილეობის მიღება როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე, ფეხბურთის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა. კლუბი ძირითადად დაფინანსებას ღებულობს საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2021 წწ) სახელმწიფო პროგრამიდან, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“-ს მეშვეობით.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-მ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის 2015-2016 წლების სეზონში მოიპოვა მე-2 საპრიზო ადგილი და შესაბამისად UEFA-ს ევროპის ლიგის საგზური. კლუბმა მიიღო პრემიალური თანხა.

UEFA -ს ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობისთვის კლუბმა UEFA-სგან მიიღო სოლიდარობის თანხა.

კლუბმა 2016 წლის საქართველოს ეროვნული უმაღლესი ლიგის გარდამავალ ჩემპიონატში მოიპოვა პირველი საპრიზო ადგილი, გახდა საქართველოს ჩემპიონი და შესაბამისად მოიპოვა UEFA-ს ევროპის ჩემპიონთა ლიგის საგზური.

კლუბს 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში ჰყავდა სფფ-ის აღმასკომის დებულებებით გათვალისწინებული თანამშრომლები და 44 პროფესიონალი ფეხბურთელი.

სააქციო საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი სამტრედია“ დაარსდა 2022 წლის 03 მაისს, რომლის მართვის უმაღლესი ორგანოა წევრთა სამეთვალყურეო საბჭო. კლუბის იურიდიული მისამართია: ქ. სამტრედია, რუსთაველის ქ. #128. კლუბის ერთპიროვნული ხელმძღვანელია მიხეილ ხუციშვილი.

2022 წლის 03 მაისის შეთანხმების თანახმად, ა(ა)იპ „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედიას“ უფლებები და ვალდებულებები, ფეხბურთელებისა და მესამე პირთა მიმართ არსებული ყველა მოთხოვნა გადასცა სს „საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს. ა(ა)იპ „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედიას“ სპორტულ მემკვიდრედ გამოცხადდა სს „საფეხბურთო კლუბი სამტრედია“. ხოლო 2022 წლის 16 ივნისს, სფფ გადაწყვეტილებით ა(ა)იპ „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“ ჩანაცვლდა სს „საფეხბურთო კლუბ სამტრედიით“.

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა

- სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი**

კლუბი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური ანგარიშგება“ მომზადებულია ამ ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე და საჭიროებისამებრ კორექტირებულია იმგვარად, რომ დააკმაყოფილოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) აღიარების, შეფასებისა და წარდგენის პრინციპები და მოთხოვნები, გარდა გამონაკლისის შემთხვევებისა როდესაც შემოსავლები და ხარჯები აღიარდება საკასო მეთოდით.

წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური ანგარიშგება“ არ მოიცავს ყველა იმ ახსნა-განმარტებით შენიშვნას, რომელიც შესაძლოა მოთხოვნილი ყოფილიყო ფასს-ის მიხედვით.

წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური ანგარიშგება“ მომზადდა დარიცხვისა და ისტორიული ღირებულების პრინციპების გამოყენებით.

- ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა**

კლუბის საოპერაციო და სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

- უცხოური ვალუტის გადაფასება**

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2024 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	დეკემბერი 31, 2024	დეკემბერი 31, 2023
ლარი / 1აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი / 1 ევრო	2.9306	2.9753

- ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები მოცემულია - ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით მთელი სასარგებლო მოსამსხურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

აქტივების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10 წელი
შენობა-ნაგებობები	50 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი

ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი დგინდება ნარჩენ ღირებულებაზე დაყრდნობით და გაითვალისწინება მიმდინარე შედეგის განსაზღვრისას. ძირითადი საშუალებების მომსახურების ხარჯები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების გაწევის მომენტში.

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

• შემოსავალი და დარიცხვები

კლუბის შემოსავლების ძირითადი წყაროებია: შემოსავალი ფეხბურთის განვითარების ფონდიდან, UEFA-სგან მიღებული თანხები, სპონსორის მიერ გადმორიცხული თანხები და სხვა შემოსავლები.

სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან - აღიარდება საკასო მეთოდით, ხოლო სხვა ყველა შემოსავალი და ამონაგები აღიარდება დარიცხვის მეთოდით.

შემოწირულობა - შემოწირულობის სახით მიღებული ფულადი აქტივი შემოსავლად აღიარდება მისი მიღებისთანავე;

სხვა შემოსავალი - სხვა შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც ის მისაღები გახდება გაწეული მომსახურების შედეგად.

შენიშვნა 3. გარემო და ფუნქციონირებადი საწარმო

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით, თუმცა არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა ვინაიდან კლუბის დაფინანსება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფეხბურთის განვითარების ფონდიდან მიღებულ დაფინანსებაზე.

2024 წლის 10 თებერვალს ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის გამგეობის სხდომის ოქმი N43-ის მიხედვით, წარმოდგენილ იქნა 2024 წლის პროგრამული დაფინანსების ბიუჯეტი დაფინანსების ძირითადი მიმართულებებისა და მოცულობის მიხედვით, რომლის მიხედვით განისაზღვრა შემდეგი ძირითადი საკითხები:

- კლუბების საბაზისო დაფინანსების განსაზღვრა;
- კლუბების პრემიალური და საპრიზო თანხების განსაზღვრა;
- კლუბების ფინანსური სტიმულირების განსაზღვრა;

კლუბების საბაზისო დაფინანსება წარმოდგენილია შემდეგი სახით, ჯამში 16,520,000 ლარის ოდენობით:

ეროვნული ლიგა (10 გუნდი) - საბაზისო - 600,000 ლარი (თითოეულ გუნდს);
ეროვნული ლიგა 2 (10 გუნდი) - საბაზისო - 400,000 ლარი (თითოეულ გუნდს);
ეროვნული ლიგა 3 (16 გუნდი) - საბაზისო - 200,000 ლარი (თითოეულ გუნდს);
ეროვნული ლიგა 4 (16 გუნდი) - საბაზისო - 120,000 ლარი (თითოეულ გუნდს);
რეგიონალური ლიგა (28 გუნდი) - საბაზისო - 50,000 ლარი (თითოეულ გუნდს).

კლუბების პრემიალური და საპრიზო თანხები განისაზღვრა შემდეგნაირად, ჯამში 6,980,000 ლარის ოდენობით:

- ეროვნული ლიგა (10 გუნდი) - მოგებული თითოეული მატჩისთვის გუნდზე 20,000 ლარი, ფრის შემთხვევაში გუნდზე 6,500 ლარი;
- ეროვნული ლიგა (10 გუნდი) - მოგებული თითოეული მატჩისთვის გუნდზე 10,000 ლარი, ფრის შემთხვევაში გუნდზე 6,500 ლარი;
- საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასზე მერვედფინალიდან ფინალამდე ყოველი ეტაპის გადალახვისთვის 10,000 ლარი.
- სლავა მეტრეველის სახელობის სუპერთასის მონაწილე 4 კლუბის დაფინანსება - I ადგილი - 60,000, II - ადგილი - 40,000 ლარი, III ადგილი - 30,000 ლარი IV ადგილი, 20,000 ლარი;
- ეროვნულ ჩემპიონატში VAR (Video Assistant Referee) სისტემის მომსახურება სულ 180 მატჩი - ერთი მატჩის მომსახურების ღირებულება 4,450 ლარი.

შენიშვნა 3. გარემო და ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

2025 წლის დეკემბრის თვეში ცნობილი იქნება, რა თანხა იქნება საპრემიო ფინდისთვის საჭირო, რომლის შედეგადაც შესაძლებელია, განისაზღვროს საპრიზო ფონდის ბიუჯეტი (ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებისთვის საპრიზო თანხა და დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გამარჯვებულისთვის საპრიზო თანხა):

- ჩემპიონი - 50%
- II ადგილი - 30%
- III ადგილი - 10 %
- თასის მფლობელი - 10 %

კლუბების ფინანსური სტიმულირების თანხა განისაზღვრა შემდეგნაირად, ჯამში 11,500,000 ლარის ოდენობით:

ეროვნული ლიგა (10 გუნდი) - არაუმეტეს - 600,000 ლარი (თითოეულ გუნდს);
ეროვნული ლიგა 2 (10 გუნდი) - არაუმეტეს - 400,000 ლარი (თითოეულ გუნდს);
ეროვნული ლიგა 3 (10 გუნდი I-X- ადგილი) არაუმეტეს - 100,000 ლარი (თითოეულ გუნდს);
ეროვნული ლიგა 4 (10 გუნდი I-X- ადგილი) არაუმეტეს 50,000 ლარი (თითოეულ გუნდს).

შენიშვნა 4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები მოიცავს საფეხბურთო კლუბის საბანკო ანგარიშზე არსებული ფულის ნაშთს, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 72,087 ლარს (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 0 ლარი).

შენიშვნა 5: სხვა დებიტორული დავალიანება

სხვა დებიტორული დავალიანება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 372,161 ლარს, რომელიც წარმოადგენს კლუბის მიერ მისაღებ უფასო სოლიდარობის თანხას (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 258,851 ლარი).

შენიშვნა 6: ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა- ნაგებობები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	მანქანა- დანადგარები და მოწყობ.	სულ
ისტორიული ღირებულება				
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	171,767	35,202	97,656	304,625
შემოსავლები	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	171,767	35,202	97,656	304,625
აკუმულირებული ცვეთა				
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	36,412	22,348	68,091	126,851
პერიოდის ცვეთა	3,350	6,150	7,936	17,436
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	39,762	28,498	76,027	144,287
წმინდა საბალანსო ღირებულება				
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	135,355	12,854	29,565	177,774
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	132,006	6,704	21,629	160,339

ააიპ „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“ და სს „საფეხბურთო კლუბი სამტრედია“
სპეციალური დანიშნულების კომბინირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

შენიშვნა 6: ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

	შენობა- ნაგებობები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	მანქანა- დანადგარები და მოწყობ.	სულ
ისტორიული ღირებულება				
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	171,767	35,202	97,656	304,625
შემოსავლები	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	171,767	35,202	97,656	304,625
აკუმულირებული ცვეთა				
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	33,062	16,198	60,157	109,417
პერიოდის ცვეთა	3,350	6,150	7,934	17,434
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	36,412	22,348	68,091	126,851
წმინდა საბალანსო ღირებულება				
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	138,705	19,004	37,499	195,208
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	135,356	12,854	29,564	177,774

შენიშვნა 7. ბანკის და სხვა სესხები

ბანკის და სხვა სესხები შედგება შპს „არქი პრომოუშენი“-სგან და სს „ბაზის ბანკი“-სგან მიღებული სესხებისაგან. შპს „არქი პრომოუშენი“-სგან მიღებული სესხის გადასახდელი სესხის ძირის ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 150,000 ლარს, ხოლო დარიცხული პროცენტი 29,625 ლარს. კლუბმა სს „ბაზის ბანკი“-სგან 2024 წელს მიიღო სესხი, რომლის ძირის ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 326,435 ლარს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის და სხვა სესხები შედგება შპს „არქი პრომოუშენი“-სგან და ა(ა)იპ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია“-სგან მიღებული სესხებისაგან, რომელთა გადასახდელი ნაშთი შეადგენს 169,300 ლარსა და 1,325 ლარს შესაბამისად.

შენიშვნა 8. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

სხვა მიმდინარე ვალდებულებები შედგება სავაჭრო ვალდებულებებისგან, სპონსორისადმი ვალდებულებებისგან, ფეხბურთის ფედერაციისადმი ვალდებულებებისგან, ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისადმი ვალდებულებისგან, საგადასახადო ვალდებულებისგან.

შინაარსი	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
საგადასახადო ვალდებულებები	48,382	159,272
ვალდებულება ფედერაციისადმი	237,763	177,763
სავაჭრო ვალდებულებები	89,320	122,494
ვალდებულება ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისადმი	15,200	15,200
სულ სხვა მიმდინარე ვალდებულებები	390,665	474,729

შენიშვნა 9. სააქციო/საწესდებო კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სააქციო/საწესდებო კაპიტალი მოიცავს შპს „ნიუ ვიჟენ ინფრასტრუქტურა“-ს (დამფუძნებელი) მიერ კლუბის კაპიტალში ფულად შენატანს 600,000 ლარის ოდენობით. (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1,500,000 ლარი).

შენიშვნა 10. სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი

სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი მოიცავს სპონსორობისა და ფინანსური სტიმულირების მიზნით კლუბის მიერ მიღებულ თანხებს, რომელიც 2024 წელს შეადგენს 259,600 ლარს (2023 წელი: 0 ლარი).

შენიშვნა 11. უფასო საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები

უფასო საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები შედგება უფასო მიღებული დაფინანსებისაგან, რომელიც 2024 წელს შეადგენს 218,330 ლარს (2023 წელი: 258,851 ლარი).

შენიშვნა 12. სუბსიდიები, შემოწირულობები ან სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან

სუბსიდიები, შემოწირულობები ან სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან შედგება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან მიღებული შემოსავლებისგან.

შენიშვნა 13. სუბსიდიები, გრანტები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისაგან;

სუბსიდიები, გრანტები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისაგან მოიცავს საქართველოს ფეხბურთის განვითარების ფონდიდან მიღებულ თანხებს ეროვნულ ვალუტაში.

შენიშვნა 14. შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისგან

შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისგან მოიცავს შპს „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისგან“ ჩარიცხულ თანხას ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების მიზნით.

შენიშვნა 15. ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება

ფეხბურთელების ხელფასის ხარჯებში შედის ხელფასი და პრემია.

შენიშვნა 16. ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები

ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები მოიცავს ფეხბურთელების ხელფასთან და პრემიასთან დაკავშირებულ საშემოსავლო და საპენსიო გადასახადს.

შენიშვნა 17. ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომელიც ცალკე არაა გამოყოფილი

ფეხბურთელების მომსახურების ხარჯებში შედის მივლინების ხარჯები, კვების ხარჯები, სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ხარჯი, საწვავის და ფეხბურთელთა ტრანსპორტირების ხარჯი, რბილი ინვენტარის ხარჯი, ძირითადი საშუალებების ხარჯი.

შენიშვნა 18. სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება

სხვა თანამშრომლების ხელფასებში და ჯამაგირში შედის ფეხბურთელების გარდა სხვა თანამშრომლების ხელფასის ხარჯები.

შენიშვნა 19. სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები

სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები მოიცავს სხვა პერსონალის ხელფასთან და პრემიასთან დაკავშირებულ საშემოსავლო და საპენსიო გადასახადს.

შენიშვნა 20. უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები

უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები წარმოადგენს სტადიონისა და ბინის იჯარის ხარჯს.

შენიშვნა 21. სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი

სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი მოიცავს საწვერო ხარჯს, ლიცენზიის და ჯარიმის ხარჯს, იურიდიულ და საკონსულტაციო და სხვა ხარჯებს.

შენიშვნა 22. სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო)

2024 წელს სხვა არასაოპერაციო შემოსავალი წარმოადგენს უსასყიდლოდ მიღებულ ეკიპირებას, ხოლო 2023 წელს სხვა არასაოპერაციო შემოსავალი მოიცავს იაროსლავ ბურიჩენკოვის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევასთან დაკავშირებით მიღებულ კომპენსაციის თანხას 31,245 ლარის ოდენობით.

შენიშვნა 23: ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის კლუბს არ ჰქონია სასამართლო დავები.

შენიშვნა 24: ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საქმიანობის ნორმალურ პირობებში კლუბი ტრანზაქციებს ახორციელებს ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან.

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ტრანზაქციებთან და ნაშთებთან დაკავშირებული დეტალები ქვემოთ მოცემულ ცხრილებშია წარმოდგენილი:

დაკავშირებული მხარე	ოპერაციის ტიპი	2024 წელი	2023 წელი
კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობა	ხელფასის და პრემიის ხარჯი	311,538	267,773
სხვა დაკავშირებული მხარე	შემოსავალი	40,000	250,000
ჯამი		351,538	517,773

შენიშვნა 24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კლუბმა 2025 წლის 01 აპრილს სრულად დაფარა სს "ბაზის ბანკი"-სგან მიღებული სესხი 330,285 ლარის ოდენობით.

კლუბს 2025 წლის 01 აპრილს ჩაერიცხა უფასო დაფინანსება 578,760 ლარის ოდენობით.

კლუბმა 2025 წლის 13 თებერვალსა და 2025 წლის 14 მარტს საქართველოს ფეხბურთის განვითარების ფონდიდან მიიღო დაფინანსება 157,000 ლარისა და 27,000 ლარის ოდენობით შესაბამისად.

კლუბმა 2025 წლის 06 თებერვალს მიიღო შემოწირულობა 90,000 ლარის ოდენობით, ხოლო 2025 წლის 10 მარტს 130,000 ლარის ოდენობით.

კლუბმა 2025 წლის 31 იანვარს შპს "არქი პრომოუშენისგან" მიიღო სასპონსორო შემოსავალი 118,000 ლარის ოდენობით.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.

ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯები

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან



კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
აფგ პროგრამის ხარჯებისა და შემოსავლების უწყისი



ლიცენზიის მატებული:

სს საფეხბურთო სამსტრედია

ანგარიშგების წელი

მედი წელი

31.12.21

31.12.22

ახალგაზრდული ფეხბურთის ხარჯებისა და შემოსავლების უწყისი			კომენტარი
ხარჯები			
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები, იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც სრულად არიან ჩართული ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში	106,087.50	98,661.00	
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (18-წლამდე)			
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (19-დან 21-წლამდე)			
საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის ხარჯები (ფეხბურთელების საცხოვრებელი, სასტუმროები და სხვ.)			
სამედიცინო დანახარჯები (სამედიცინო მომსახურება, რეაბილიტაცია, ვიტამინოთერაპია)	10,075	9,660.00	
აფგ პროგრამაში ჩართულ პირთა (მწვრთნელები, ფეხბურთელები) სწავლის გადასახადი			
აფგ პროგრამით გათვალისწინებული მივლინებები (ტრანსპორტირების ჩათვლით)	42,218.00	38,830.00	
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სადღეღამისო დანახარჯები			
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სპორტული ფორმა, ეკიპირება და ინვენტარი			
აფგ პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ხარჯი (ახალგაზრდული გუნდების სავარჯიშო და სათამაშო სტადიონი და/ან ბაზა - მშენებლობა / მოვლა / ქირა; ოფისის კომუნალური გადასახადები / ქირა)			
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების ტურნირებში მონაწილეობის გადასახადი	8,300.00	16,550.00	
ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების საქმიანობაზე უშუალოდ მისაკუთვებელი სხვა დანახარჯები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში! (მაგ.: ოპერატორი და სხვ.)			
სულ აფგ პროგრამის ხარჯები	166,680.50	163,701.00	
შემოსავლები			
უშუალოდ აფგ პროგრამის მთლიანი შემოსავალი (სწავლებისა საფასური, საწევროები და ა.შ.)			
უეფა-დან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის	218,330.00		
სფ-დან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის			
სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის			
ახალგაზრდული ფეხბურთისთვის მისაკუთვებელი სხვა შემოსავლები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში!			
უშუალოდ აფგ პროგრამისთვის მისაკუთვებელი მთლიანი შემოსავალი	218,330.00		
წმინდა შედეგი	51,649.50	(163,701.00)	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კატეგორიის მატებული იურიდიული ერთეულის უფლებამოსილი პირის მიერ:

უფლებამოსილი პირი: დირექტორი: მიხეილ ხუციშვილი

თარიღი: 10.04.2025

ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულია აუდიტორული კომპანიის მიერ:

აუდიტორული კომპანია: შპს მომრ ეი ბი სი

უფლებამოსილი წარმომადგენელი: მიხეილ აბაიძე

თარიღი: 10.04.2025

- დოკუმენტის დასასრული -